განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების დანერგვა ონლაინ და შერეული სწავლებისას

მარიამ ტყემალაძე

ლეისან ნაზაროვა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე განათლების ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

განათლების ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი, სოფიო გორგოძე

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2021

განაცხადი

„როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორები, ვაცხადებთ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩვენს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოყენებულ, გამოსაქვეყნებლად გამზადებულ ან დასაცავად წარსადგენ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.“

მარიამ ტყემალაძე

ლეისან ნაზაროვა

03.07.2021

მადლობა

მადლობას ვუხდით ქუთაისის №30 საჯარო სკოლის დირექტორს, ბატონ მიხეილ გიორგაძეს გაწეული დახმარებისა და აქტიური თანამშრომლობისათვის. ასევე მადლობას ვუხდით ამავე სკოლის ყველა მასწავლებელსა და მოსწავლეს, რომლებმაც აქტიურად ითანამშრომლეს ჩვენთან პრაქტიკის კვლევის ფარგლებში.

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენი პრაქტიკის კვლევის ხელმძღვანელს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორს, ქალბატონ სოფიო გორგოძეს, მხარდაჭერისათვის, კონსულტაციებისა და რეკომენდაციებისათვის.

აბსტრაქტი

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს კვლევას, რომლის მიზანია მასწავლებლების პრაქტიკაზე ონლაინ დაკვირვება, განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტების ეფექტიანობის დასადგენად როგორც ონლაინ, ასევე შერეული სწავლებისას. აღნიშნულ პრაქტიკის კვლევაში გამოყენებულია თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევის მეთოდები. კვლევის პირველ ეტაპზე ჯგუფის მიერ განისაზღვრა საკვლევი საკითხი, განხორციელდა დიაგნოსტიკური კვლევა. მასწავლებელთა ფოკუს-ჯგუფისა და სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით შეფასდა არსებული სიტუაცია. დაიგეგმა ინტერვენცია, რომელიც მოიცავდა მასწავლებლების ინფორმირებას, ონლაინ და პირისპირ სწავლებაზე მორგებული შეფასების ინსტრუმენტების შეთავაზებას, შეთავაზებული ინსტრუმენტების ონლაინ და შერეულ საგაკვეთილო პროცესში გამოყენება/გამოცდას და დაკვირვებას. შეფასების ეტაპი ითვალისწინებდა მასწავლებელთა თვითრეფლექსიასა და მოსწავლეთა გამოკითხვას სტრუქტურირებული კითხვარის მეშვეობით. პრაქტიკის კვლევის დახმარებით მასწავლებლებმა დანერგეს განმავითარებელი შეფასების აქტივობები, როგორც პირისპირ, ასევე დისტანციური სწავლებისას, გააანალიზეს მოსწავლეთა საჭიროებები, განმავითარებელი შეფასების მნიშვნელობა და გაიზარდა მასწავლებელთა მოტივაცია.

საძიებო სიტყვები: განმავითარებელი შეფასება, განმავითარებელი შეფასების აქტივობები, განმავითარებელი შეფასება ონლაინ სწავლებისას, პრაქტიკის კვლევა

Abstract

The aim of this action research is to study the teacher's practices through online observation to evaluate the effectiveness of formative assessment tools in an online as well as blended (face

to face and online) teaching environment. The study utilized quantitative and qualitative research methods. At the first stage of the study, the objectives were determined by the research group that included school teachers and a diagnostic research was conducted. Using a focus group of teachers and structured questionnaires, an existing situation was evaluated. An intervention was planned, which included informing the teachers, offering assessment tools for online and face to face teaching, and observing and evaluating implementation of formative assessment tools in an online and blended setting. The assessment of the intervention comprised the self-reflection of teachers and structured questionnaires of the students. Using the action research methodology, teachers were able to implement formative assessment activities in the classroom, as well as online teaching, motivated teachers, better analyzed the needs of the students and importance of formative assessment.

Keywords: formative assessment; formative assessment activities; formative assessment in online teaching; action research;